ხელშეკრულება გრანტის შესახებ № 12/03/12-NCDC

ქ. თბილისი 2012 წლის 12 მარტი

წინამდებარე ხელშეკრულება გრანტის შესახებ (შემდგომში *„ხელშეკრულება"*) იდება შემდეგ მხარეებს შორის:

1. „როსტროპოვიჩ-ვიშნევსკაიას ფონდი საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობისა და მომავლისათვის", საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული იურიდიული პირი (საიდენტიფიკაციო ნომერი 205030189) და მოქმედი, როგორც არამომგებიანი, საქველმოქმედო ფონდი (შემდგომში *„გრანტის გამცემი"*), წარმოდგენილი მაკა გუმბერიძე-ღვინეფაძის სახით,

2. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი", საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირი (საიდენტიფიკაციო ნომერი 211324351, შემდგომში *„გრანტის მიმღები"*), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ნატო ავალიანის სახით,

შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც *„მხარეები"*, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც *„მხარე"*;

პრეამბულა

ვინაიდან, "როსტროპოვიჩ-ვიშნევსკაიას ფონდსა", ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ (შემდგომში "რვფ") და "გრანტის გამცემს" შორის გაფორმებულია ჰუმანიტარული დახმარების ხელშეკრულება, რომლის მიხედვით "რვფ" უწევს ჰუმანიტარულ დახმარებას "გრანტის გამცემს" სხვადასხვა სამედიცინო პროგრამის განხორციელებაში და გრანტის სახით გადასცემს მათ სხვადასხვა სამედიცინო საქონელს და ფულად სახსრებს.

ვინაიდან, *"რვფ"*-სა და *"გრანტის გამცემს"* შორის 2010 წლის 1 იანვარს გაფორმებულია გრანტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით *"რვფ" "გრანტის გამცემს"* გრანტის სახით უწევს დახმარებას საქართველოში ჯანდაცვის სექტორის მხარდამჭერი პროგრამების (იმუნიზაციის, ლაბორატორიული კვლევების და სხვა სამედიცინო საქმიანობის) ხელშეწყობისათვის;

ვინაიდან, *"რვფ"*-მა წერილის საფუძველზე სთხოვა *"გრანტის გამცემს"* პროგრამაში: „ნოზოკომიური ინფექციების შესწავლა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტებში" (შემდგომში *"პროგრამა"*) მონაწილეობის მიღება, და *„პროგრამის"* ხარჯების დასაფინანსებლად გრანტის ხელშეკრულების გაფორმება *"გრანტის მიმღებთან"*;

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება გრანტის შესახებ (შემდგომში *„ხელშეკრულება"*):

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გრანტი მიეცემა *"გრანტის მიმღებს"* წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის – *„პროგრამის"* ხელშეწყობისათვის, კერძოდ კი *„პროგრამის"* განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების (თანამშრომელთა ხელფასები, ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯები) დასაფინანსებლად.

1.2. გადასარიცხი თანხის მოცულობას ადგენს *"გრანტის გამცემი" "გრანტის მიმღების"* მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად;

1.3. *"ხელშეკრულების"* (გრანტის) ღირებულება არ აღემატება 14,000 (თოთხმეტი ათას) ლარს.

2. გადახდის მეთოდი

2.1. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით *"გრანტის მიმღების"* მიერ *"გრანტის გამცემისათვის"* შესაბამისი მოთხოვნის წარმოდგენის შემდეგ.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისას გადაუჭრელი სირთულის წარმოქმნის შემთხვევაში, *"გრანტის გამცემი"* იტოვებს უფლებას, მოითხოვოს აუთვისებელი თანხების დაუყოვნებელი დაბრუნება.

3. თანხების განკარგვის კონტროლი

3.1. *"გრანტის გამცემი"* იტოვებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და შეთანხმებების კონტროლის უფლებას. ამისათვის, *"გრანტის გამცემისა"* და მისი წარმომადგენლისათვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია.

3.2. *"გრანტის მიმღები"* *"გრანტის გამცემს"* ანიჭებს უფლებას ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოკვლევა, რომელსაც *"გრანტის გამცემი"* ჩათვლის აუცილებლად და შესაბამისად თანახმაა გაუწიოს მას ნებისმიერი სახის დახმარება ამგვარი გამოკვლევის წარმოებისას.

4. სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი ყველა სახის კორესპონდენცია შესრულდება წერილობით. ასევე დაიშვება კავშირი ფაქსით და ელექტრონული ფოსტით, იმ პირობით, რომ წერილობითი დედანი დაუყოვნებლივ გადაიგზავნება შეკვეთილი ფოსტით ან კომერციული საფოსტო სამსახურის მეშვეობით გრანტის გამცემის მოთხოვნის შესაბამისად.

5. დავების გადაჭრა

5.1. მხარეთა შორის არსებული ყოველგვარი უთანხმოება თუ დავა წყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება გამოხატავს ურთიერთგაგებას მხარეებს შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საგნის მიმართ და ენაცვლება ყველა ადრეულ, ზეპირ თუ წერილობით შეთანხმებას ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შესწორებებისა და დამატებების შეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ყოველი ცვლილება, დამატება თუ დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან 2012 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

6.4. ხელშეკრულება შესრულებულია ორ დედნად ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ქართული ეგზემპლარი.

7. მხარეთა ხელმოწერები და იურიდიული მისამართები

გრანტის გამცემი

„როსტროპოვიჩ-ვიშნევსლაიას ფონდი
საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობისა
და მომავლისათვის"
მ. ასათიანის ქ. 9, 0177,
თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: (995 322) 226804
ელ.ფოსტა: tbilisi@vrf.ge

_____ /მ. გუმბერიძე-ღვინეფაძე/

გრანტის მიმღები

ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მ. ასათიანის ქ. 9, 0177,
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 322) 398946,
ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge

_____ /ნ. ბვალიანი/